წერილის ნომერი:**31-31263023**
თარიღი: **29/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

და აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის

მაია ლომთაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან

დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: აცანის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21. 10. 2026 წელი 14:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი მაია ლომთაძე, გვიმბალაურის მაჟორიტარი დეპუტატი ტატო ურუშაძე,საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ციცინო ჩხაიძე,საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი იზა მათითაიშვილი.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი მაია ლომთაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამოხახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

აცანის მაჟორიტარმა დეპუტატმა მაია ლომთაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიში, ასევე არის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 15, კომისიის 10 და ფრაქციის 12 სხდომაში. როგორც

საკრებულოს წევრი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში, პერიოდულად შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან), როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშუალოდ სოფელში, ისმენდა მათ პრობლემებს და ცდილობდა მაქსიმალურად მოგვარებას.

აცანის, ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მაია ლომთაძემ მოსახლეობას გააცნო ის პროექტები და დახმარებები, რომელიც აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა და განხორციელდება. კერძოდ ეს ინფრასტრუქტურული პროექტებია:

- სტადიონის შეღობვა.

-სკვერის რეაბილიტაცია.

-შინ მოუსვლელთა სტენდის ეზოს კეთილმოწყობა.

-სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

- შიდა სასოფლო გზების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (მოხრეშვითი) სამუშაოები.

ზემოთ აღნიშნული პროექტები მოწონებული იქნა მოსახლეობის მიერ.

აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მაია ლომთაძემ აცანის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქეების მიერ გამოითქვა გარკვეული მოთხოვნები:

- სოფლის შიდა გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა და არსებულის გაწმენდა, რადგან უხვი ნალექის დროს წყალი შედის სახლებში.

- ასევე დაისვა საკითხი შიდა ტრანსპორტთან დაკავშირებით, მოსახლეობის განცხადებით რეისი რომელიც დანიშნულია ლანჩხუთი-აცანის მიმართულებით არ მოძრაობს გრაფიკის შესაბამისად, ან საერთოდ აუქმებს რეისს.

- აცანის სკოლის დირექტორის ანდრო ქინქლაძის თხოვნაა უშუამდგომლოს შესაბამის სამსახურებთან რათა მოხდეს სკოლის შენობის ირგვლივ სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რაზეც მაია ლომთაძემ მიუგო, რომ შესაბამის სამსახურებთან ერთად მოხდა სკოლის დათვალიერება და გაკეთდა სადრენაჟო სისტემის პროექტირება.

ამის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა მაჟორიტარ დეპუტატს მაია ლომთაძეს, რათა ის ყოველთვის იზიარებს მათ გულისტკივილს და პრობლემებს, ყოველთვის ცდილობს შესაძლებლობიდან გამომდინარე გვერდით დაუდგეს ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც სოფლის ასევე პირადი პრობლემების მოგვარებაში და ასევე იმისთვისაც, რომ მან ამ მოკლე პერიოდში აცანის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გააკეთა ბევრი რამ.

მაჟორიტარმა დეპუტატმა მაია ლომთაძემ მოუწოდა სოფლის მოსახლეობას, რომ დროულად მიაწოდონ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ინფორმაცია, რათა ერთობლივად და ასევე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შესაძლებლობიდან გამომდინარე დროულად გადაიჭრას პრობლემა. ასევე თავის მხრივ სოფლის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ის ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა 2027 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,

მაია ლომთაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

2800, ლანჩხუთი, მ.კოსტავას #37, ტელ: 0494223005